ПРОЛЕТАРИЯМ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 76 (19817) ოთხშაბათი, 1 აპრილი, 1987 წელი. ფასი 3 კაპ.

გვიხმობს კომუნისტური საბათოობა

სამზადისი აქვს ინტერნაციონალური მეგობრობის ცვლას

ყიბულის ე. მინდელის სახელობის შახტის №2 საექსპლოატაციო უბნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა გადაწყვიტეს კომუნისტური შრომის ზეიმის დღეს — 18 აპრილს მონგრიონ და ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნონ 1200 ტონით მეტი სათბობი, ვიდრე ჩვეულებრივ სამუშაო დღეს.

კიდევ უფრო მაღალი მიჯნების დალაშქვრისათვის იღვწიან ყველაზე მრავალეროვანი ერთსულოვანი ცვლის წევრები, წმენდითი სანგრევის მუშები გ. ამყოლაძე, თ. შულაძე, ა. იურტაიკინი, კომბაინის შემანქანე ვ. ბაიგატიროვი, იჯარით მომუშავე კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. გაპრელიანი და კომუნისტური შრომის დამკვრელი გ. ქურციკიძე. მათ გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავისათვის შეასრულონ სათბობის მოპოვების ოთხი თვის გეგმა, ამასთან დახარჯონ 1,5-ჯერ ნაკლები ელექტროენერგია, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული.

25 მარტისათვის ინტერნაციონალური მეგობრობის ცვლის წევრებმა 1300 ტონით მეტი სათბობი მოიპოვეს, ვიდრე 1986 წლის შესაბამის პერიოდში, და ტყიბულელებისა ბრიგადის მიკროკოლექტივებს შორის პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

30 მარტს კრემლში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვრცლად და ყოველმხრივ განიხილეს თანამედროვეობის დიდი საკითხები, მათ შორის მთავარი — განიარაღების საკითხი.

საუბარი მიმდინარეობდა მეგობრული ტონით, თუმცა პოლემიკაც იყო, რომელსაც ასევე, ერთმანეთის უკეთ გაგების, თითოეულის პოზიციისა და განზრახვის, პოლიტიკური ლოგიკის უფრო მკაფიოდ წარმოდგენის მიზანი ჰქონდა.

ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის ვიზიტი მნიშვნელოვანი და საჭიროა. რადგან, რაც უნდა განსხვავდებოდეს მათი პოზიციები და შეხედულებანი, სსრ კავშირი და დიდი ბრიტანეთი პარტნიორები არიან მთავარი საკითხის — ომის საფრთხის შემცირების საკითხის — გადაწყვეტის გზების ძიებაში. ეს ახლა უმთავრესია.

ასეთ დონეზე დიალოგის აზრია — გამოძებნონ უკეთესი მსოფლიოს გზები.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ სრულიად არ ეთანხმება იმ აზრს, თითქოს უშიშროება შეიძლება ძალის პოლიტიკა დაედოს საფუძვლად. ეს მოძველებული კონცეფციაა, რომელმაც უკვე ბევრი უბედურება მოიტანა ომისშემდგომ პერიოდში.

მ. ტეტჩერის მსჯელობის ლოგიკით ჩანდა, რომ იგი ბირთვული იარაღის შენარჩუნებისა და დიდი ბრიტანეთის ბირთვული პოტენციალის გაზრდის მომხრეა, რადგან დარწმუნებულია საბჭოთა კავშირის განზრახვაში გაავრცელოს კომუნიზმი მთელ მსოფლიოში და რომ კვლავ არის დასავლეთ ევროპაზე სსრ კავშირის თავდასხმის საშიშროება.

მ. ს. გორბაჩოვმა დასაბუთებულად გაბათილა ეს ყოვლად უსაფუძვლო აზრი, დაეყრდნო რა თანამედროვე მსოფლიოს ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც მოცემული იყო სკკპ XXVII ყრილობაზე, და აღნიშნა რომ ობიექტური კავშირია სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მიზნების, გარდაქმნასა და სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას შორის. პოლიტიკა, განსაკუთრებით უმწვავესი ბირთვული საფრთხის სიტუაციაში, უნდა ეფუძნებოდეს რეალობებს, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანაარსებობას, თითოეული ქვეყნის თავისუფალი არჩევანისა და დამოუკიდებელი განვითარების უფლებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა განვითარებად სამყაროსთან სწორი ურთიერთობისათვის.

საბჭოთა კავშირი ცნობს ისტორიულ კავშირს თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებსა და რეგიონებს შორის — იქნება ეს დასავლეთ-აღმოსავლეთი თუ ჩრდილოეთ-სამხრეთი. უნდა გავაანალიზოთ მთელი ეს ურთიერთობა. მოდით, ამაზე ვიფიქროთ, თუ როგორ უზრუნველვყოთ უშიშროების ბალანსი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ბალანსი.

ფრიად მნიშვნელოვანია, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ გაიმართა დიდი და დროდადრო მწვავე სჯა-ბაასი სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრობლემებზე, რადგან აქ ამოსავალი პუნქტია საბჭოთა კავშირის ზრახვებისა და მოქმედების გაუგებლობა.

რეგიონალური კონფლიქტების წარმოშობის შესახებ მსჯელობის განსხვავების მიუხედავად თანამოსაუბრენი შეთანხმდნენ, რომ მათ მოწესრიგებას პოლიტიკური საშუალებებით უნდა მიაღწიონ.

მ. ტეტჩერმა ბევრი ილაპარაკა დასავლური დემოკრატიის, ბრიტანული დემოკრატიის ღირსებებზე ამ საკითხებზე პოლემიკის დროს მას დაუპირისპირეს ძლიერი კონტრარგუმენტები. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ თემაზეც გაიმართა აზრთა გულახდილი გაზიარება. კამათი ყოველგვარ საკითხზე, თუ იგი მიმდინარეობს სერიოზულად, და არა სპეკულაციურად, აგრეთვე სასარგებლოა. იგი არ იძლევა აზრის დამყაყების საშუალებას, ნათელს ფენს იმას, რაც უდისკუსიოდაც ცხადად გვაჩვენებოდა.

საუბრის დროს უპირატესი ყურადღება დაეთმო გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემებს. ჩვენ არ ვაპირებთ ვიმომთ არც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, არც დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, არც საერთოდ ვინმეს წინააღმდეგ, განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა. ამით აიხსნება ჩვენი ინიციატივები და კონკრეტული ნაბიჯები. მაგრამ მათზე ვერ ვიღებთ ადეკვატურ პასუხს. ორი წელია ერთსა და იმავეს ვხედავთ: როგორც კი რაიმე დაისახება პოზიტიური გადაწყვეტის თვალსაზრისით, მაშინვე ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზში, ბონში მთელ აქტიურობას წარმართავენ იმ საბაბის მოსაძებნად, რომ საბჭოთა კავშირის „უპირატესობის“ მიზეზებით, შეაფერხონ პროცესი.

აი ახლაც ვხედავთ, როგორ ცდილობენ შეაფერხონ მოლაპარაკება საშუალო სიშორის რაკეტებზე. როცა „პაკეტიდან“ ამოვიღეთ საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემა, ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერის იმედი გვქონდა, მაგრამ სად არის ეს მხარდაჭერა?

საბჭოთა კავშირი ბევრ რამეს დათანხმდა, ოღონდ იმპულსი მიეწიჟებინა შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებისათვის. მან ანგარიშში არ ჩააგდო ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული პოტენციალები, თუმცა ისინი კვლავ იზრდება და იხვეწება. მაგრამ ყოველივე ამას სწორაფად „ივიწყებენ“, და საბჭოთა კავშირისაგან დათმობებს მოელიან.

მ. ს. გორბაჩოვმა მტკიცედ უარყო აზრი, თითქოს ევროპაში ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირს შეუნარჩუნებს ჩვეულებრივ შეიარაღებაში დიდ უპირატესობას და პოლიტიურ საფრთხეს შეუქმნის დასავლეთ ევროპას. მან დაადასტურა საბჭოთა კავშირის მზადყოფნა დაიწყოს ყველაზე საფუძვლიანი და ყოველმხრივი მოლაპარაკება ორივე სამხედრო ბლოკის ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებებში გათვალისწინებულია დასავლეთ ევროპისა და დიდი ბრიტანეთის შეშფოთება, კერძოდ, როგორც ჩვეულებრივი იარაღის, ისე ქიმიური იარაღის გამო. და ეს შემთხვევითი როდია, ვინაიდან ჩვენ გვიხდა გავფანტოთ დასავლეთის უნდობლობა. ეს ბლეფი არ არის. ეს ჩვენი პრინციპული კურსია, რომელიც შევიმუშავეთ ხანგრძლივი და ღრმა ფიქრის შედეგად და დავამტკიცეთ ქვეყნის უმაღლეს ფორუმზე.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ვეძებოთ ნაკლებად შეიარაღებული მსოფლიოსაკენ მიმავალი გზები. ნდობა ცარიელ ადგილას ვერ გაჩნდება. საჭიროა მოლაპარაკება, ძიება, და არა ლოდინი. მოდით, მივაღწიოთ მეორე სტოკჰოლმს და იქ განვიხილოთ ჩვეულებრივი იარაღის საკითხები. ყველაფერი დავამუშაოთ ისე, რომ განზე არაფერი დავტოვოთ.

მ. ს. გორბაჩოვმა დაწვრილებით აცნობა მ. ტეტჩერს, სინამდვილეში როგორ წარმოებდა მოლაპარაკება რეიკიავიკში და როგორ გაუშვეს ხელიდან უნიკალური შესაძლებლობა გადაედგათ ისტორიული ნაბიჯი და დაეწყოთ რეალური ბირთვული განიარაღება.

ამასთან დაკავშირებით თანამოსაუბრეებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შენარჩუნების პრობლემებს. მ. ს. გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებასა და კოსმოსში იარაღის გაუვრცელებლობას შორის კავშირი სტრატეგიული კავშირია. ამ პაკეტს არასოდეს არ გავხსნით. ჩვენ გვაქვს საშუალება გავაუფასუროთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ისე, რომ არ დავხარჯოთ საამისოდ ისეთი უზარმაზარი თანხები, რომლებიც ამერიკას დასჭირდება მის შესაქმნელად. მაგრამ განა ეს სჭირდება ვინმეს იმათ გარდა, ვისაც სურს ჩაიჯიბოს ამ გზით მილიარდები? მან თანამოსაუბრეს შესთავაზა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს — განა შეიძლება დაუშვან, რომ ყველანი, და უფრო სწორეს ყოველისა ევროპა, აქციონ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისაკენ მიმართული სამხედრო ბიზნესის მძვლებად.

მ. ტეტჩერის თხოვნით მ. ს. გორბაჩოვი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის არსს, ხასიათსა და მიმდინარეობას, გადასაჭრელ პრობლემებს, სიძნელეებს, პერსპექტივებს, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების წინაშე ჩასახება გარდაქმნის შედეგად. ჩვენ ვძლევთ, თქვა მან, პარადოქსს, რომელიც გაჩნდა ჩვენს განვითარებაში, როცა ლამის მსოფლიოს ყველაზე განათლებულ საზოგადოებას დიდხანს არ შეეძლო ჯეროვნად გამოეყენებინა თავისი უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი. და ამას მივიღებ ინგლისელ ეკონომისტ ალეკ ნოვის ეკონომიკური ეფექტიანობის ცნებას. ეს ცნება ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, ინიციატივას, ადამიანის ინტერესებს, ინიციატივას, ადამიანის ინტერესებს, ინიციატივას,

ავეჯი მოგვეგებიანი უნდა იყოს

საფაც შედარებით უკეთ ზრუნავდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოთხოვნილებების გათვალისწინებით ასორტიმენტის განახლებისათვის, შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, იქ, რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგები მოიპოვეს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კოლექტივზე. კითხულობდა კარგად იციან, რომ გაერთიანება რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობის მეთაური საწარმოა და აქ დამზადებული პროდუქცია მომხმარებელთა დიდ მოწონებასაც უნდა იმსახურებდეს.

მაგრამ, მოდით ვიყოთ გულახდილი და ვთქვათ, საგრგელობდა თუ არა აქ დამზადებული ნაწარმი მოთხოვნით და ანიჭებს თუ არა იგი სიხარულს ავეჯის სახლში შესულ კაცს? არა. ამასთან, პროდუქცია, რომელიც საწარმოში მზადდება, იმდენად მასობრივი ხასიათისაა, რომ ათასი თვალი ეყურება და სინჯავს. ასეთ პირობებში გაერთიანების ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი სახმილებაზე გადასვლისათვის. აი თვალებიც: 1986 წლის ოქტომბერში სახმილების ორგანოს უნდა ჩაებარებინა ძირითადი პროდუქციის 25 პროცენტი, ფაქტობრივად კი მიიღო 1 პროცენტი, ნოემბერში 30 პროცენტის ნაცვლად 5 პროცენტი. მნიშვნელოვნად არც წლის დამლევისათვის გაუმჯობესებულა საქმე, დეკემბერში სახმილებას 70 პროცენტის ნაცვლად 30 პროცენტი წარუდგინეს, იანვარში თითქოს გამოკეთდა საქმე, სახმილებას ასი პროცენტით წარუდგინეს პროდუქცია. აქედან პირველი წარდგენით 99 პროცენტი მიღებულ. დავალება თითქოს შესრულდა, მაგრამ ეს მოხდა გეგმის კორეტირების ხარჯზე, თებერვალში კვლავ გაუარესდა მდგომარეობა. გაერთიანების კოლექტივმა სახმილების ორგანოს 100 პროცენტის ნაცვლად პროდუქციის 56 პროცენტი ჩაებარა. საწარმოში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა და მის გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები. მასალების არარიტმულად მოწოდებამ გაერთიანება ცუდ დღეში ჩააგდო. ძირითადმა მომწოდებელმა საწარმოებმა, კოტლასისა და ეეშმარტის ფაბრიკებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო რაოდენობით მოეწოდებინათ მერქანი-ბურბუშელის ფილები, საწარმოს კი არ აღმოაჩნდა იმდენი მარაგი, რომ მასალა გარკვეული დროის განმავლობაში ჰყოფნოდათ და პროდუქცია რიტმულად დაემზადებინათ.

სახმილების ორგანო მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტექნიკური კონტროლის განყოფილებაზე. ატესტაცია ვერ გაიარა ამ განყოფილების მომუშავეთა 30 პროცენტმა. ისინი არ შეეფერებიან თანამდებობას. სახმილებას ხომ ტექნიკური კონტროლის მიერ შემოწმებული პროდუქცია უნდა ჩაბარდეს. ახლა თითქოს მოწონავე მუშებით შეივსო ტექნიკური განყოფილება, მაგრამ შედეგებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. სახმილების ორგანო, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი რობინზონ ხეჩოშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით უძღვება თავის საქმეს, მაგრამ მას საწარმოს საერთო მდგომარეობა და არარიტმულად დამზადებული პროდუქციის ხარისხი აფერხებს. სახმილების ორგანოს აქვს საწარმოსადმი თავისი მუდმივი შენიშვნები. ჯერჯერობით აქ კიდევ ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის მექანიკური წმიბოებისა და ზედაპირის სრულყოფილი დამუშავება, არის უხარისხო მოპირკეთების შემთხვევები, შეინიშნება დეტალების არასწორი დამუშავება. არცთუ იშვიათად, ნაკეთობა დაუკომპლექტებელია, ღრიჭოებია უჯრის მოძრავ დეტალებ მორის. ასეთი პრეტენზიები რომ აღარ იყოს, საჭიროა ტექნიკური კონტროლის განყოფილების გაძლიერება, მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ აქ დაზგების პარკის გეგმით გათვალისწინებული რემონტი ხორციელდებოდეს, გრაფიკის დაცვით დგებოდეს ისინი მწყობრში და სტანდარტად მუშაობდნენ. ასევე საჭიროა ასაწყობი ოპერაციების დახვეწა და სრულყოფა, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება, საწარმოს სიმძლავრეთა სრულად ამოქმედება, მაგრამ, თუკი მასალებს დროულად ვერ მიიღებენ, მაშინ, ალბათ, ამ საქმის მოგვარებაც დაიგვიანებს.

ცნობილია, რომ 1987-1988 წლებში გაერთიანებები, საწარმოები მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე უნდა გადავიდნენ, როცა ამ საკითხს შევეხეთ, გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მ. მაისურაძემ იხუმრა კიდეც: ჯერ საწარმოო სიმძლავრეები ორ ცვლაში ვერ დაგვტვირთავს და მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლას როგორ მოვახერხებთო. არადა, მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლა უცილობელი პირობაა იმისათვის, რომ გამოთავისუფლებული საწარმოო ფართობები გამოვიყენოთ საამქროებისა და უნაწილების ტექნიკური განახლებისათვის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის. ამ საკითხს ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, თუმცა, განთიადელები ვერც ფართო მოხმარების საგნების გამოშვების მრავალფეროვნებით დაიტრაბახებენ. მახსოვს რამდენიმე წლის წინათ, საგაზეთო მასალის დასაწერად მისულს, ამ უბანზე დამზადებული მშვენიერი მოწნული კალათა მაჩვენეს. დიახ, იგი კარგი იყო, მაგრამ ახლაც რომ იგივე კალათა მაჩვენეს, გამიკვირდა. მას შემდეგ არ უზრუნიათ ასორტიმენტის განახლებაზე. კარგი მეურნე ხის ნარჩენებს ისე გამოიყენებს, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს, აბა ვინ ამზადებს, ვთქვათ, პურის შესანახ ყუთებს, სამზარეულოსათვის მცირე ზომის გამოსადგ თარიებს... სხვა ბეჭრის გაკეთებაც შეიძლება, თუ ადამიანი მოინდომებს, თითოეული ხის ნარჩენი, მართლაც რომ, ძვირფასია და მისი პრაქტიკულად გამოყენება მუდამ შეიძლება. თუ არ ეძიებ, ვერასოდეს იპოვი.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საწარმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, იკლო რეკლამაციამ. თუ დავაკვირდებით, სტატისტიკა ასეთია: 1986 წლის მეორე კვარტალში რეკლამაციამ 12 ათასი მანეთი შეადგინა, მესამეში — 18 ათასი, მეოთხე კვარტალში — ათასი მანეთი. პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის შემდეგ კი რეკლამაცია საერთოდ არ მიეღიათ. როგორც ჩანს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს სახმიღების ორგანოს მიზანმიმართული მუშაობა. ხარისხზე დადებითად იმოქმედა აგრეთვე ახალი, უცხოური ტიპის მოსაპირკეთებელი ავტომატური ხაზის ამოქმედებამ, მაგრამ რად გინდა, გაერთიანებაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, პროდუქციის დამზადება არარიტმულად ხდება. არც მარტის ბოლოსათვის უნდა ვეწოდეთ აქ სახარბიელო შედეგებს, ყოველ შემთხვევაში ამის მტკიცების საფუძველი დღესდღეობით არსებობს. ნედლეული თითქოს მიიღეს, მაგრამ დეკადების მიხედვით გეგმა კვლავ ვერ სრულდება. გარდამავალი პროდუქციის უქონლობამ დიდად შეაფერხა მუშაობა, გაერთიანების გენერალური დირექტორი მარტში რიტმულ მუშაობას შეგვპირდა, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ცუდად მიუდით.

არადა, მეორე კვარტალის ბოლოსადვის ახალი პროდუქციის გამოშვება აქვთ ნავარაუდევი. განახლებულ საძინებელ გარნიტურსა და კედელს ელოდება მომხმარებელი. საამისოდ ურთიერთშეთანხმებაც დაიდო იუგოსლავიის „ცერენბორის“ ფირმასთან. იუგოსლავები ქართველ სპეციალისტებს გამოუგზავნიან პროდუქციის გამზადებელ წინა ფასდს. ასორტიმენტის განახლება აუცილებელი პირობაა მომხმარებელთა თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, საამისოდ სათანადო პირობები უნდა არსებობდეს, სხვანაირად შეუძლებელია ვიფიქროთ რენტაბელობაზე, ეფექტიან მუშაობაზე.

დღეს საწარმოთა კოლექტივები ანაზღაურების ახალ მეთოდებზე, თვითდაფინანსებასა და თვითთანაზღაურებაზე გადადიან. ამ მიმართულებით საწარმოში ჯერჯერობით არაფერი კეთდება, იმიზეზებენ იმას, რომ დარგი საკავშირო მსშტაბით ჯერჯერობით არ გადასულა მუშაობის ამ ახალ მეთოდზე და ეს კი ვერაფერი შეღავათია. მოგების დავალება, რომელიც ახალ პირობებში მომუშაველებს ეგეგმება, ბევრ რამეზეა დამოკიდებული და იგი მთლიანად კომპლექსურად მოითხოვს შიდასაწარმოო პრობლემ ე ბ ს ჭკვიანურად გადაწყვეტასა და კოლექტივის დარაზმვას. გაერთიანებისათვის კი ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რომელ მოგების გეგმაზე შეიძლება მსჯელობა, როცა მუშები ხელფასს სანახევროდ იღებენ და თვალი, ასე ვთქვათ, გაქცევაზე უჭირავთ. კოლექტივს საკუთარ მხრებზე გადაქვს საწარმოს სატკივარი და მძიმე საფინანსო მდგომარეობა.

ლ. ქინქლაძე.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

ერთიანი ძალისხმევით, ნოვატორულად ...

ბარდაძნამ ახლა ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. მშრომელები სულ უფრო მეტ ძალ-ღონეს ახმარენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას იმდაგვარად, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელმა იანვრის პლენუმმა დასახა. ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით შრომობენ და იღვწიან დღეს სამტრედიის რაიონის მშრომელები.

გარდაქმნის პროცესის დასაჩქარებლად დიდი საზრუნავი აქვთ რაიონისა და აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს, რათა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, გადამამუშავებელმა მრეწველობამ სიახლის სულისკვეთებით იშრომონ. ახლა ძველებურად მუშაობა არავის არგებს, მით უმეტეს, თუ ხელმძღვანელობა გსურს, უწინარესად თვით უნდა გარდაიქმნა, წარმოება ისე უნდა მართო, წუნი არავინ დასდოს შენს ნამოღვაწარს. ამისათვის საჭიროა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, გერგილიანობა, თვისებრივად ახალი და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებას და ადამიანის გაკეთილშობილებას, ამის საფუძველზე სასურველი საბოლოო შედეგების მიღწევას. მეტად არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, შარშან მიღწეულია პოზიტიური შედეგები, ყველა კატეგორიის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებები. ისიც აღსანიშნავია, რომ ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიებ ი ს სრული ციკლის დანერგვით ხორცისა და რძის კომბინატები უნარჩენოდ მუშაობენ.

მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მრეწველობის საწარმოებისათვის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა პარამეტრი გარდატეხის წელი იქნება. უკეთეს მიჯნებს უნდა მიაღწიონ მიწათმოქმედებმა, მეცხოველეებმა, საწარმოთა მუშებმა. მათ გულით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება დიდი ოქტომბრის მომავალი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის და ახალი, გადიდებული ვალდებულებები აკისრეს.

ამ ვალდებულებით რაიონის მშრომელებმა მარცვლეულის ნაშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 27 ცენტნერამდე უნდა გაზარდონ, ბოსტნეულისა — 130 ცენტნერამდე. სახელმწიფოს მიჰყიდიან 3.510 ტონა ხარისხოვან ხის ფოთოლს, 1.400 ტონა მარცვლეულს, 15.500 ტონა ბოსტნეულს, 5.820 ტონა ხილს, 2.800 ტონა ხორცს, 4.500 ტონა რძეს, 9 მილიონ ცალ კვერცხს, დიდძალ ყურძენს, დაფნას, აბრეშუმის პარკს და სხვ. ასე რომ, საზრუნავი და გასაკეთებელი ფლეულს უფრო მეტია, ვიდრე წინა წლებში, ყოველივე ამის უთუო შესრულებისათვის მიწათმოქმედთ დიდი გარჯა მოუწევთ.

შრომის გაორკეცებაა საჭირო იმიტომაც, რომ სტიქიამ 2 მილიონ 666 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას. მდინარეებმა — რიონმა, გუბისწყალმა და ცხენისწყალმა დატბორეს ამ მდინარეების აუზში მოქცეული 6.500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მთლიანად დაიტბორა კომბოსტო 250 ჰექტარზე, ხარეულ, 1.000 ჰექტარზე, სხვადასხვა ხასიათის ბოსტნეულის, 5.000 ჰექტარზე, ბარდა — 20 ჰექტარზე. დაინგრა ხიდ-ბოგირები, გზები, გასადგერდა პირუტყვის საკვები.. სამტრედიელებს თვითონ უჭირდათ, მაგრამ მათ ამ დროს დახმარების ხელი გაუწოდეს მათზე უფრო გაჭირვებულ ცაგერისა და ამბროლაურის რაიონების შრომელებს. ცაგერელებს 11 სატვირთო ავტომანქანით საშენი მასალები გაუგზავნეს. სამტრედიის მელიორაციელნი და წყალთა მეურნეობის სარაიონთაშორისო საწარმოო სამმართველოს (უფროსი ჯონი ჯოჯუა) ექსკავატორი მექანიზატორმა მერაბ ყლაჯეიშვილმა სამტრედიიდან ამბროლაურში ჩაიყვანა, 15 დღის განმავლობაში შეუსვენებლად იმუშავა ქუთაის-ალპანა-ამბროლაურ-ჭრებალო-ნიკორწმინდის გზების თოვლისა და ზვავებისაგან გასაწმენდად. ახალგაზრდა ცოლშვილიანმა კაცმა სიძნელეებსა და ხიფათს ვაჟკაცობა დაუპირისპირა და ამბროლაურელთა სამართლიანი მადლობა დაიმსახურა.

წყალდიდობამ კოპიტნარის, ბაშის, გომის, ქალაქის ლენინისა და კიკვიძის სახელობის საზოგადოებრივი მეურნეობების 1.000 ჰექტარი დაფარა ქვა-ღორღით. რიონის ჯებირები აღდგენილია 2,5 კილომეტრზე, მაგრამ არ იკითხავთ, — როგორ? — საგულდაგულოდ და საიმედოდ! წყალდიდობამ სამ სხვადასხვა ადგილას გააჩინა 6 მეტრი სიღრმის ღრმულები, ეგრეთწოდებული ხელოვნური ტბები. აღდგენითი სამუშაოები სწრაფად მიმდინარეობს. ნიადაგის ქვა-ღორღისა და ნაგვისაგან გასაწმენდად მთელი ტექნიკაა მობილიზებული. ამასთან ერთად მიწას აშანდაკებენ, ხნავენ. პარალელურად მებოლტნეები დატბორილი ხახვისა და კომბოსტოს ჩითილებსა და ნარგავებს აცლიან სილას, ნაგავს, თოხნიან და შეაქვთ სასუქები.

აღდგენითი სამუშაოების პარალელურად დაიწყო საადრეო ჩითილების მასობრივი თესვა. დაირგვება საადრეო პამიდორი, დაითესება საადრეო სტაფილო, ჭარხალი, ძირითადად დამთავრდა მათი თესვა. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, გამოიდარებს თუ არა, შრომისმოყვარე სამტრედიელ კოლმეურნეს და მუშას შინ რა გააჩერებს, სხლავენ ჩაის პლანტაციებს, ვაზებს, ხეხილს, შეაქვთ ფოსტა, ბაგრამ შედეგებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. სახმიღების ორგანო, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი რობინზონ ხეჩოშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით უძღვება თავის საქმეს, მაგრამ მას საწარმოს საერთო მდგომარეობა და არარიტმულად დამზადებული პროდუქციის ხარისხი აფერხებს. სახმიღების ორგანოს აქვს საწარმოსადმი თავისი მუდმივი შენიშვნები. ჯერჯერობით აქ კიდევ ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის მექანიკური წმიბოებისა და ზედაპირის სრულყოფილი დამუშავება, არის უხარისხო მოპირკეთების შემთხვევები, შეინიშნება დეტალების არასწორი დამუშავება. არცთუ იშვიათად, ნაკეთობა დაუკომპლექტებელია, ღრიჭოებია უჯრის მოძრავ დეტალებ მორის. ასეთი პრეტენზიები რომ აღარ იყოს, საჭიროა ტექნიკური კონტროლის განყოფილების გაძლიერება, მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ აქ დაზგების პარკის გეგმით გათვალისწინებული რემონტი ხორციელდებოდეს, გრაფიკის დაცვით დგებოდეს ისინი მწყობრში და სტანდარტად მუშაობდნენ. ასევე საჭიროა ასაწყობი ოპერაციების დახვეწა და სრულყოფა, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება, საწარმოს სიმძლავრეთა სრულად ამოქმედება, მაგრამ, თუკი მასალებს დროულად ვერ მიიღებენ, მაშინ, ალბათ, ამ საქმის მოგვარებაც დაიგვიანებს.

ცნობილია, რომ 1987-1988 წლებში გაერთიანებები, საწარმოები მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე უნდა გადავიდნენ, როცა ამ საკითხს შევეხეთ, გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მ. მაისურაძემ იხუმრა კიდეც: ჯერ საწარმოო სიმძლავრეები ორ ცვლაში ვერ დაგვტვირთავს და მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლას როგორ მოვახერხებთო. არადა, მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლა უცილობელი პირობაა იმისათვის, რომ გამოთავისუფლებული საწარმოო ფართობები გამოვიყენოთ საამქროებისა და უნაწილების ტექნიკური განახლებისათვის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის. ამ საკითხს ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, თუმცა, განთიადელები ვერც ფართო მოხმარების საგნების გამოშვების მრავალფეროვნებით დაიტრაბახებენ. მახსოვს რამდენიმე წლის წინათ, საგაზეთო მასალის დასაწერად მისულს, ამ უბანზე დამზადებული მშვენიერი მოწნული კალათა მაჩვენეს. დიახ, იგი კარგი იყო, მაგრამ ახლაც რომ იგივე კალათა მაჩვენეს, გამიკვირდა. მას შემდეგ არ უზრუნიათ ასორტიმენტის განახლებაზე. კარგი მეურნე ხის ნარჩენებს ისე გამოიყენებს, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს, აბა ვინ ამზადებს, ვთქვათ, პურის შესანახ ყუთებს, სამზარეულოსათვის მცირე ზომის გამოსადგ თარიებს... სხვა ბეჭრის გაკეთებაც შეიძლება, თუ ადამიანი მოინდომებს, თითოეული ხის ნარჩენი, მართლაც რომ, ძვირფასია და მისი პრაქტიკულად გამოყენება მუდამ შეიძლება. თუ არ ეძიებ, ვერასოდეს იპოვი.

საგაზაფხულო რეპორტაჟი სამტრედიიდან იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს დაზიანებული მინდვრების აღდგენა, სიახლეთა დანერგვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო მასალების მიღებას 1987 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

კომიტეტი შეახსენებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ დებულებით კანდიდატის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს, ხოლო ნაწარმოები ან ნაწარმოებთა ციკლი მოლიანად უნდა იყოს გამოქვეყნებული პრემიის მინიჭებამდე (ივლისის პირველი დეკადა) 6 თვით ადრე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1987 წლის 1 მაისი.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8; ტელეფონი: 93-76-04, 99-64 82.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ა. ა. შუშანაშვილი განთავისუფლებულია საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან.

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობაზე დაწინაურეს. გაჩნდა ვაკანტური თანამდებობა. ვინ გახდება ქალაქის ახალგაზრდობის წინამძღოლი? ეს შეკითხვა თითქმის ერთნაირად აღელვებდა ყველას.

ინიციატივა მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში იშვა. შესვენებისას უშუალოდ თავიანთ სამუშაო ადგილებთან შეიკრიბნენ საამქროს ახალგაზრდები. გაიმართა საქმიანი, გულადი მსჯელობა.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, — ამბობდნენ გამმესელელები, — ფარფოლდება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაცია. უფრო სისხლსავსე ხდება პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრება. ვითარდება საჯაროობა. კრიტიკა და თვითკრიტიკა. იზრდება მშრომელთა მონაწილეობა საზოგადოების საქმეებში, მართვაში.

ჩვენ შეგვიძლია სურვილისამებრ შევარჩიოთ ისინი, ვინც ერთგულად გაგვიძღვება წინ, იქნება ნამდვილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მოდით, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ჩვენი საამქროს წარჩინებულ მეფოლადეს თენგიზ მარუაშვილს მივცეთ რეკომენდაცია, ჩვენ მას კარგად ვიცნობთ, ეს ის კაცია, რომლის სიტყვისაც გვჯერა, რომელსაც მხარში ამოვუდგებით. იმედია, ჩვენი ქარხნის კომკავშირელებიც დაგვიჭერენ მხარს, მათ ქალაქის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ახალგაზრდებიც შეუერთდებიან, თენგიზს ვანდობთ ჩვენს ლიდერობას.

ახალგაზრდობის ნებით

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე დაასახელეს ორი კანდიდატურა. პირველ მდივნად არჩეულია წარჩინებული მეფოლადე

მარტენის საამქროს ახალგაზრდებმა თავიანთი განზრახვა ქარხნის კომკავშირის კომიტეტს აცნობეს. გაიმართა კომიტეტის გაფართოებული სხდომა. იგი უჩვეულო იყო. ესწრებოდნენ არა მარტო კომკავშირული აქტივისტები, არამედ ქარხნის სახელოვანი ადამიანები. კადრის მუშები, ისინი, ვინც ქართული ფოლადის გამოდნობის სათავეებთან იდგნენ.

გამოვიდნენ ვეტერანი მეფოლადე ვაჟა გიგიბერია, წარჩინებული მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი არჩილ ძამაშვილი, ზეინკალი დათო ჩეჩია. მარტენის საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ვიოლეტმ ყურაშვილი, მარტენის საამქროს უფროსი მერაბ მუმლაძე, მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზაზა ჭიპაშვილი და სხვები.

თენგიზ მარუაშვილი ათი წლის წინათ პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მეტალურგთა სახელოვან კოლექტივში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ქარხანა მოპოვებულ პოზიციებს და ავტორიტეტს თმობდა. ამ წლებში ნაწილობრივ მეტალურგთა პრესტიჟიც დაეცა, მაგრამ თენგიზ მარუაშვილს ირთი წუთითაც არ უყოყმანია, არც ავტომანქანის შეძენაზე ხელშეკრულების გაფორმება ან უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხ ლიმიტის მიღება და სხვა შეღავათები უთხოვია, როგორც ამას ბევრი შვრებოდა. კოლექტივს, სადაც მამამისიც იღვწოდა, ხოლო შემდეგ ძმაც და სიძეც შემოუერთდა, შეიქმნა დიდი ოჯახური დინასტია, იგი მალე შეეჩვია და დამოუკიდებელი მეფოლადე გახდა. მეზუთე კომკავშირულ-ახალგაზრდული ღუმელი, რომელსაც იგი უძღვება, მოწინავეა საწარმოში. მისი ხელმძღვანელობით ღუმელში სისტემატურად ხორცელდება ჩქაროსნული დნობა. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის წინ როგორც მისი დელეგატი, გამოვიდა ინიციატივით „XXXIII ყრილობას — 33 ჩქაროსნული დნობა“ და სიტყვა პირნათლად შეასრულა. ფაქტობრივად 34 ჩქაროსნული დნობა განახორციელა და გეგმის გადამეტებით 300 ტონა ფოლადი გამოუშვა. იგი აქტიური საზოგადებრივი მუშაკიც არის. არჩეულია ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრად, საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობაზე, სადაც სიტყვაც წარმოთქვა, აირჩიეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად, საკავშირო კომკავშირის ყრილობის დელეგატად, არის საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი. ამჟამად მეტალურგიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. თ. მარუაშვილმა ქალაქის ახალგაზრდობაში მოიპოვა ავტორიტეტი.

ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა დადგენილებაში ჩაწერა, რომ ეთხოვოს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პლენუმს დაასახელოს და კენჭი უყაროს მათ მიერ რეკომენდებულ კანდიდატურას.

გაიმართა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც მოხსენება აღინიშნული წინადადება. პლენუმის მონაწილეებმა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ასარჩევად დაასახელეს კიდევ ერთი კანდიდატურა: კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ანდრო კალანდაძე. პლენუმზე გამოვიდნენ საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ელდარ მამალაძე, პირველი სამშენებლო ტრესტის კომკავშირის კომიტეტის წევრი ოლია პორფიროვა, მეტალურგიული ქარხნის დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარე ვალოდია კირვალიძე, მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, საკავშირო ალკკ ყრილობის დელეგატი, ამირან ახალაძე და სხვები. მათ დაახასიათეს დასახელებული კანდიდატები, აღნიშნეს მათი ორგანიზატორული, საქმიანი და პირადი თვისებები, თქვეს, რომ ორივე მთგანმა ქალაქის ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს, მაგრამ, რაკი რუსთავი ძირითადად მუშათა კლასის ქალაქია, მათ წარმომადგენელს მაინც აქვს ერთგვარი უპირატესობა, ეს კიდეც გამოვლინდა კენჭისყრის დროს, რომელიც ღია წესით მოეწყო. თ. მარუაშვილმა მოიპოვა უპირატესობა და იგი აირჩიეს კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. ისიც ითქვა, რომ ა. კალანდაძის სახით ქალაქის ახალგაზრდობას ჰყავს ღირსეული ხელმძღვანელი. იგი კვლავაც დიდ წვლილს შეიტანს კომკავშირული - ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად გარდაქმნაში, ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გაზრდაში.

პლენუმმა ყურადღება მიაპყრო გადაუჭრელ პრობლემებს. საჭიროა ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესონ ახალგაზრდების აღზრდა, დარაზმონ ისინი ზემდგომი ორგანოების მეურვეობის შედეგად გამომუშავებული უინიციატივობის აღმოსაფხვრელად და უფრო აქტიურად ჩაიაბნ წარმოების მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის ბრძოლაში.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნაზარაძემ.

პლენუმის მუშობაში მონაწილეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო მასალების მიღებას 1987 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

კომიტეტი შეახსენებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ დებულებით კანდიდატის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს, ხოლო ნაწარმოები ან ნაწარმოებთა ციკლი მოლიანად უნდა იყოს გამოქვეყნებული პრემიის მინიჭებამდე (ივლისის პირველი დეკადა) 6 თვით ადრე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1987 წლის 1 მაისი.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8; ტელეფონი: 93-76-04, 99-64 82.

მესაზღვრე პარტიის სრულიფლებიანი წარმომადგენელი

თითოეული მესაზღვრე, იმის მიუხედავად, თუ სად მსახურობს, უფრო ღრმად უნდა განმსჭვალოს იმის შეგნებით, რომ მისი შემოქმედებითი, კეთილსინდისიერი მხედრული შრომა გარდაქმნის საყოველთაო-სახალხო საქმეში შეტანილი წვლილია. ეს ხაზგასმით აღინიშნა თბილისში გამართულ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პარტიული აქტივის კრებაზე.

კრების მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად საგუშაგოების, ქვეგანაყოფების, ნაწილების ოპერატიულ-სასამსახურო საქმიანობის ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის მიმდინარეობაზე გავლენის გაძლიერებისათვის ოლქის კომუნისტთა ამოცანები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ.

კრებაზე ითქვა, რომ მესაზღვრეები პარტიის პოლიტიკური მებრძოლები, სახღვარზე მისი სრულიფლებიანი წარმომადგენლები — თანამედროვე ბოიბოებთა სულისკვეთებით სრულყოფენ თავიანთ მხედრულ ოსტატობას, სახღვრისპირა რაიონების მოსახლეობასთან ურთიერთმოქმედებით ასრულებენ დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს, მონაწილეობენ შეჯიბრებაში დევიზით „სკკპ XXVII ყრილ

ახალი ამბები

▼▼

ბაქოში გაიმართა თბილისის მოსწავლეთა მხატვრული სახლის ალსაზრდელთა კონცერტები. ისინი ეძღვნება აზერბაიჯანელი ჯარისკაცის რაჰიბ მამედოვის გმირობას, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ადამიანები საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების დროს. აზერბაიჯანელ თანატოლებთან ერთად თბილისელი ბავშვები მონაწილეობენ მოსწავლეთა ტრადიციულ საგაზაფხულო ღღესასწაულში — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საბავშვო და საყმაწვილო მუსიკის კვირეულში.

მოძმე ქართველი ხალხის ხელოვნებას, რომელიც აზერბაიჯანში დიდად პოპულარულია, წარმოადგენენ ქორეოგრაფიული ანსამბლის „თბილისის“, ბავშვთა პანტომიმის თეატრისა და ხალხური საკრავების ორკესტრის ნორჩი შემსრულებლები.

ბავშვების კონცერტები ბაქოელთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. ბაქოში შეხვედრები დამთავრდება გამოსვლით კასპიის წითელდროშოვანი ფლოტიფილის ოფიცერთა სახლში. აზერბაიჯანის დედაქალაქში სტუმართა გამოსვლების შედეგად მიღებული სასარგებლო ფულადი შემოსავალი საქართველოში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

▼▼

მაიაკოვსკის რაიონის ცენტრში ააგეს და საეკსპლოატაციოდ გადასცეს საღეღსასწაულო სახლი. მას აქვს კეთილმოწყობილი დარბაზები ახალდაქორწინებულთა რეგისტრაციისათვის, ექსპრესბარი, ესტრადა და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

▼▼

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაჩნდა ინტერნაციონალური მეგობრობის მოედანი. გასულ შაბათს მის გაშენებაში თბილისელ მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ მათი თანატოლები მოსკოვიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან. ბავშვებმა დარგეს მუხის, ცაცხვის ნერგები, შემდეგ შეიკრიბნენ კონცერტზე, რომელიც გამართეს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა, დასასრულ მოეწყო მეგობრობის საღამო.

მოსწავლეთა შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე.

— ახალი მეგობრები გავიჩინეთ თბილისში, — თქვა მოსკოველმა მოსწავლემ ტანია ნიკიტინამ. — თამრიკო გორგაძის ოჯახი ჩემთვის ახლობელი და მშობლიური გახდა.

თითოეულმა ჩვენგანმა, მოსკოველმა მოსწავლემ, გულისტკივილით შეიტყო საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების ამბავი. თან ჩამოვიტანეთ და კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში ჩვენთან შესახვედრად მოსულ სვან ბავშვებს გადავეცით საჩუქრები.

სურათზე: თბილისის სტუმარი — მოსკოველი მოსწავლე ტანია ნიკიტინა.

ი. ფილიპოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

▼▼



მრავალ თბილისელსა და დედაქალაქის სტუმარს სულაც არ გაჰკვირვებიათ, როცა მიიპატიჟეს ახალ რესტორან „ბერიკონში“. გასულ კვირას ჩომ ჩაი — ეს პოპულარული სასმელი ღღეობას ღღესასწაულობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების პრაქტიკულად ყველა ობიექტში. ჩაის სმა „ბერიკონში“ კი აგვირგვინებდა საღღესასწაულო პროგრამას.

რესტორნის ბარში კი გაიმართა კონკურსი ჩაის სუფრის საუკეთესო გაწყობისათვის, სადაც თაოსანი ხეღოვნება ცხადყვეს თბილისელმა კულინარებმა.

სურათზე: ჩაის ზეიმზე რესტორან „ბერიკონში“.

ბ. კიკეკაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თანამშრომლობის კიდეები



საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულწრფელად მიესალმებიან ჩვენს ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ჩამოსვლას. ისინი გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ევროპაში ნდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას და საერთაშორისო უშიშროებას.

საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, დიდ ბრიტანეთთან მრავალფეროვანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

შენარჩევი, რომელსაც გთავაზობთ, ასახავს საქართველოსა და ინგლისის შდიდარი კულტურული და სამეცნიერო კავშირურთიერთობის ზოგიერთ მაგალითს.

ხელოვნების დესპანები

— **ჩვენს** მშფოთვარე დროში ხელოვნების მოღვაწეთა კონტაქტი განსაკუთრებით საჭიროა, რადგან იგი ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებას, — თქვა საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიური დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თენგიზ სუხიშვილმა. — ინგლისში მომავალ გასტროლებს, რომელიც მისში უნდა დაიწყოს, მივიჩნევთ კიდევ ერთ პრაქტიკულ ნაბიჯად ჩვენი ქვეყნების ხალხთა კონტაქტის გაძლიერების გზაზე, ვინაიდან ხელოვნების ენა ყველასათვის მისაწვდომი და გასაგებია. ამის დასტურია ინგლისელებთან წინა შეხვედრების ატმოსფერო, რომელიც დღემდე ცოცხლად არის აღბეჭდილი ჩვენს მეხსიერებაში. ჩვენ შევხვედრივართ ბევრ ადამიანს, ნაყოფიერად გვისაუბრია კოლეგებთან.

ქართველი მოცეკვავეები მეშვიდედ მიემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში, ქვეყანაში, სადაც კარგად იციან ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი. იგი ახლა უფრო „ახლო“ გახდა ქართული კულტურის მრავალი წარმომადგენლისათვის: ისინი ხშირად გამოდიან ინგლისელი მსმენელისა თუ მაყურებლის წინაშე, მონაწილეობენ ერთობლივ დადგმებში, მუსიკალურ ფესტივალებში.

ბედნიერ სეზონად თვლის თავისთვის ინგლისთან პირველ შეხვედრას საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პაატა ბურჭულაძე. სამი წლის წინათ ლონდონში კოვენტ-გარდენის სამეფო ოპერის თეატრში მან რამფისის პარტია შეასრულა ვერდის ოპერა „აიდაში“. აქედან დაიწყო ქართველი მომღერლის ზეაღსვლა საოპერო ოლიმპზე. სწორედ აქ აღიარეს ჩვენი მომღერალი მსოფლიოს საუკეთესო ბანად.

ლიჩფილდის ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალზე მან ათასობით ბრიტანელი მაყურებლის გული დაიპყრო. ლონდონში ქართველმა მომღერალმა წარმატებით გამართა სოლო კონცერტები ინგლისელ პიანისტ რობერტ სადერლენთან ერთად.

ქართველი ვოკალისტის მეგობრობა ინგლისელ მუსიკოსებთან თბილისშიც გაგრძელდა, სადაც ერთმანეთს შეხვდა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ორი ლაურეატი — პირველი პრემიის მფლობელი პაატა ბურჭულაძე და პიანისტი პიტერ დონოჰოუ (მეორე პრემია). პიტერ დონოჰოუს სოლო კონცერტს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ბურჭულაძე — დონოჰოუს შემოქმედებითი დუეტი მოსკოვსაც გაიცნო: მათი კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოეწყო.

აპრილში პაატა ბურჭულაძე კვლავ ეწვევა ლონდონს: აქ მისი მონაწილეობით ჩაიწერენ ფირფიტაზე პუჩინის ოპერას „ჩიო-ჩიო-სანს“.

ინგლისში კარგად იცნობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტს მაყვალა ქასრაშვილის ხელოვნებასაც. მის მონაწილეობას ედინბურგის მუსიკალურ ფესტივალში, ლონდონში გამართულ კონცერტებს ბრწყინვალე წარმატება ახლდა. კოვენტ-გარდენის სცენაზე კი მომღერალმა შეასრულა დონა ანას პარტია მოცარტის „დონ ჟუანში“. ამ თეატრში სპეციალურად მისთვის დაიდგა მოცარტის ოპერა „ტიტეს მოწყალება“. კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა მომღერლის ოსტატობას.

ინგლისის ქალაქებში სხვადასხვა დროს წარმატებით მოუწყვიათ გასტროლები სსრ კავშირის სახალხო არტისტს ზურაბ სოტკილავას, სახელმწიფო ანსამბლს „რუსთავს“, სხვა ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს.

მეცნიერთა კონტაქტები

ინგლისიდან დაბრუნდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფი. მათ სამი თვე დაჰყვეს ქალაქ მანჩესტერის დიდბრძნის კოლეჯში, სადაც ეცნობოდნენ ქვეყნის ისტორიასა და თანამედროვეობას, მსჯელობდნენ კოლეგებთან ინგლისური ფილოლოგიის საკითხებზე.

ინგლისში მოგზაურობა ძალზე სასარგებლო იყო ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის, — თქვა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის დოცენტმა ვ. გვარჯალაძემ. — ჩვენ ბევრი რამ ახალი შევიტყვეთ ქვეყანათმცოდნეობის ლექციებზე, კიდევ უფრო ვამდიდრებდით ცოდნას ლონდონში, ლივერპულში, კემბრიჯში, ჩესტერში, ედინბურგსა და დიდი ბრიტანეთის სხვა ქალაქებში მოგზაურობით. საბჭოთა სპეციალისტებისათვის ეწყობოდა აგრეთვე მეცადინეობა ენათმეცნიერებასა და სხვა ფილოლოგიურ მეცნიერებებში, პრაქტიკული სემინარები თარგმნილი ლიტერატურის დარგში.

ინგლისელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების, ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისადმი. ბევრი მათგანი სწავლობს რუსულს და გვარიანად ლაპარაკობს კიდეც ამ ენაზე. საბჭოთა ეკონომიკა ყოველ წელს ჩადიან ოქსფორდში, სადაც რუსული ენის კურსს უძღვებიან.

ქართველ სპეციალისტებს შესაძლებლობა გვქონდა ახლოს გავცნობოდით რიგითი ინგლისელების ცხოვრებას. ჩვენ ვცხოვრობდით ოჯახებში, სადაც გულთბილად, გულღიად გვიმასპინძლეს. მაგალითად, მე სამი თვე გავატარე ინგლისელი პედაგოგების ჰენდერსონების დიდ და მეგობრულ ოჯახში. მათ ხუთი შვილი ჰყავთ. ისინი ყველანი საუცხოოდ მეპყრობოდნენ და ერთმანეთს დიდი სინანულით დავშორდით.

* * *

